# კონკურსი - ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტი EUROEAST

პროგრამა ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტი EUROEAST აცხადებს კონკურსს დოქტორანტურის სტუდენტებისა  და მკვლევრებისთვის (Postdocs) ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევის განხორციელების მიზნით სტიპენდიის მოსაპოვებლად.

<u>მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ უნივერსიტეტებში:</u>

- ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია - კოორდინატორი
- აალტოს უნივერსიტეტი, ფინეთი
- ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია
- უმაღლესი ტექნიკური სკოლა, პორტუგალია
- გენტის უნივერსიტეტი, ბელგია
- ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი
- მონპელიეს უნივერსიტეტი 2, საფრანგეთი

პროგრამა სრულად ფარავს სწავლის, მგზავრობის, დაზღვევის ხარჯებს და უზრუნველყოფს კონკურსში გამარჯვებულს ყოველთვიური სტიპენდიით:

- დოქტორანტი - 1 500 ევრო
- მკვლევარი (Postdoc) - 1 800 ევრო

<u>კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:</u>

- დოქტორანტურის სტუდენტებს
- მკვლევრებს (Postdocs)

<u>კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:</u>

- მათ, ვისაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე 12 თვეზე მეტი დრო აქვთ გატარებული ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მხოლოდ მესამე სამიზნე ჯგუფის აპლიკანტებზე)

განაცხადების მიღება დასრულდება **2015 წლის 12 იანვარს.**

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ პროექტის ვებ-გვერდი: <u>www.euroeast.polito.it</u>

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  საგარეო ურთიერთობების სამსახურს:

მისამართი: ქ. ჩოლოყაშვილის 3/5, ოთახი E105
ტელეფონი: 995 322 14 13 88
ელ-ფოსტა: euroeast@iliauni.edu.ge